ოქმი:**ო63. 63240224**
თარიღი:**22/01/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის

საფინანსო -საბიუჯეტო საკითხთა

კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N1

ქ. სამტრედია 15 იანვარი, 2024 წელი.

მიმდინარე წლის 15 იანვარს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მერაბ უღრელიძის, თავმჯდომარეობით ჩატარდა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: მერაბ უღრელიძე, გოჩა არველაძე, ბექა თევზაძე, ჯონი ახობაძე, ტარიელ ცომაია, დავით ჯანელიძე, ირაკლი მელაშვილი, აკაკი მინაშვილი, გივი ჯულაყიძე, ვაჟა სტურუა.

დღის წესრიგი:

1.საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სამუშაო გეგმის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

2. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (10) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (10) ხმით დამტკიცებულია წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სამუშაო გეგმა.

მერაბ უღრელიძე - წარმოგიდგინოთ, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის 2024 წლის სამუშაო გეგმა, რომლებიც წლის განმავლობაში უნდა განვიხილოთ. სურვილისამებრ, შეგიძლიათ სამუშაო გეგმაში ცვლილების შეტანა.

1. 2024 წლის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სამუშაო გეგმის განხილვა დამტკიცება (იანვარი).

2.სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა (თებერვალი).

3. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მთავრობის მიერ სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის 2024 წლის გამოყოფილი თანხის განსახორციელებელი პროექტების განხილვა (მარტი).

4.სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის ფორმირებასთან დაკავშირებული წინადადებების შემუშავება (აპრილი).

5.სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის ფორმირებასთან დაკავშირებული წინადადებების შემუშავება.(აპრილი)

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის კვარტალური შესრულების ანგარიშის მოსმენა (აპრილი, ივლისი, ოქტომბერი, დეკემბერი).

7. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.(მაისი)

8. ინფორმაციის მოსმენა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ 2024 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული შესყიდვების შესახებ (მაისი-სექტემბერი).

9. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 6 (ექვსი) თვის ბიუჯეტის მოსმენა და შესაბამისი დასკვნის მომზადება (ივლისი).

10.სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ 2024 წელს განხორციელებული ბიუჯეტის ხარჯვის შესახებ ინფორმაციების მოსმენა (ივლისი, ნოემბერი).

11. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 9(ცხრა) თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა (ოქტომბერი).

12. კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების თაობაზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება (წლის განმავლობაში).

13. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ცვლილებების პროექტის განხილვა (წლის განმავლობაში).

14. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების საპროგნოზო მაჩვენებლის შესახებ ინფორმაციის მოსმენა. (ოქტომბერი)

15. კომისიის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენა სამუშაო გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და გაწეული მუშაობის შესახებ (ივლისი, ნოემბერი).

16. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა (ნოემბერი).

17. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ფორმირებასთან დაკავშირებული წინადადებების შემუშავება (დეკემბერი).

18. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტის განხილვა (დეკემბერი).

საკითხის ირგვლივ შენიშვნა არ ყოფილა.

კომისიის წევრებმა ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის 2024 წლის სამუშაო გეგმის შესახებ, მიიღეს ცნობად.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა 10(ხმით) მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ზემოაღნიშნული განხილულ და დამტკიცებულ იქნას ბიუროს სხდომაზე.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

მერაბ უღრელიძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო საკითხთა
კომისია-საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი